აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04/80

10.10.2019

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებების შესაბამისად ვბრძანებ:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდეს დეკანის არჩევნები
2. არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 17 დეკემბერს 12 საათიდან 14 საათამდე.
3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2019 წლის 11 ნოემბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით 12 საათიდან 15 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.
5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.
6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით 16 საათამდე.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი